რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ი კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თვილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა:

დიდის ასოებით, ასოზე, 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] -ზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



არწრუნის თეატრი.

დღეს, 1 დეკემბერს

აბონემენტის რიცხვში

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ნ. მ. გაბუნიასი

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

I

პირველად

ხანუმა

...მედია 3 მოქმედებად, 4 სურათად,

ა. ა. ცაგარელისა.

II

დივერტისმენტი

ლექსებს წაიკითხავს კ. მესხი.

...რთულ ხმებს იმღერებს ნ. გაბუნია.

დასაწყისი 8 საათზედ.


## ტელეგრამმა

(„სამხრთ-მხრის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 28 ნოემბერს. „რუ...ს ინვალიდის“ სიტყვით, ღენერა...ურ შტაბის აკადემიის მე-50 წლის ...ესასწაულობაზედ სამხედრო მი...სტრმა ჩააბარა აკადემიის უფროსს ...მაღლესი გრამატა, სადაც მოხსენე...ლია, თუ რა სამსახური გაუწევია ... სარგებლობა მოუტანია ხსენებულ ...დემიას რუსეთისათვის და როგორ ...უმართლებია ის იმედები, რომელ...ც მათით ჰქონია რუსეთს. წირვის ...მდეგ ხელმწიფის და დიდთა მთავართა დასწრებით, ხელმწიფეს მიართვეს ოქროს მედალი აკადემის 50 წლის არსებობის სახსოვრად. ხელმწიფემ ინება მადლობის გამოცხადება აკადემიისა მოწაფეთა და ღენერალურ შტაბისათვის და იმედი, რომ კვლავაც აკადემია მისცემსო რუსეთს ღირსეულ აფიცრებს, იმპერატრიცას აკადემიის უფროსმა მიართვა ძვირფასად გაწყობილი ლენტებით თაიგული ზედ წარწერით—1832—1882 წლისა. მიღებულია ბევრი. მილოცვითი ტელეგრამები, მათ შორის ჰერცოგ ალბერტისაგანაც.

—„გოლოსი“ იწერება, რომ მომავალი 1883 წლის 1 იანვრიდან შესდგება დასავლეთ-ციმბირის სამასწავლებლო ოლქი, რომელიც დაექვემდებარება განსაკუთრებულ მზრუნველს.

იზმაილი. იზმაილსა და სულინს შუა რუსის გემი „იური“ მომავალი ბოლგარიიდამ ადესაში დაეჯახა ერთ ინგლისის გემს და დაიღუპა—თან გადაყვა 9 კაცი.

თაშკენტი. ვაჭარი ხალხი ერთობ შეაფიქრა იმ გარემოებამ, რომ კავკასიის ტრანზიტს შეუძლია რუსეთის საქონელი განდევნოს საშუალო-აზიიდამაო.

ლონდონი. მოკლეს ხანში ლორდ დერბი დაიჭერს დეფფერინის ალაგს კაბინეტში. ინგლისის დესპანად სტამბოლში დაინიშნა ელლიოტი ვენიდამ. ამის ალაგს (ვენაში), ალბად, დეფფერინი დაიჭერს.

## დღიური

კავკასიის მთავარ-მმართებელს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის შუამდგომლობით შეუტანია მინისტრთა კამიტეტში წინადადება, რომ ხაზინის სარგებლობისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში დაიკეტოს სახაზინო მარილის მაღაზიები. მაგრამ, რომ ადგილის მცხოვრებთ მძიმედ არ დაეტყოთ ამ მაღაზიებს საერთოდ დაკეტა, თან-და-თან, თითო-[illegible] დაიკეტოს ისინი.

* * *

დღეს არწრუნის თეატრში ბენეფისია ჩვენი ქართული დასის ერთი საუკეთესო წარმომადგენელის ნ. გაბუნიასი. წარმოადგენენ ახალს 3 მოქმედებიან კამედიას ა. ა. ცაგარელისას „ხანუმა“-ს. დივერტისმენტში კ. მესხი წაიკითხავს ლექსებს და მობენეფისე—ნ. გაბუნია იმღერებს ქართულს ხმებს.

იმედია საზოგადოება ჯერ მობენეფისის ნიჭსა სცემს პატივს და შემდეგ ახალი პიესის მოსასმენადაც დაესწრება დღევანდელს წარმოდგენას.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად იბეჭდება ერთი პატარა წიგნი სახელად „ქართველნი წამებულნი“, რომელშიაც გამოხატული არისო ლენგ-თემურის დროს ამოჟლეტილი ქართველები.

* * *

იბეჭდება და ამ მოკლეს ხანში გამოვა პოემა ჩახრუხაძესი „თამარ მეფისა“ და მისი მეუღლის დავით მეფის შესხმა“. ეს წიგნი გამოვა სათაურით: „ქართველი კლასიკები“.

ამავე სათაურით, როგორც გვაცნობეს, კვლავაც გამოსცემსო იგივე გამომცემელი სხვა ჩვენი კლასიკების თხზულებათა. მეორე წიგნად გამოვაო მეთერთმეტე საუკუნის საქართველოს სახალხო პოეტის ძავნაკორელის პოემა და ლექსები.

* * *

კავკასიის ფოჩტის მართველობა აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ კავკასიის უმთავრესის მთავრობის ნება-რთვით ახლად გაიცემა იჯარით 1 იანვრიდან მომავალის 1883 წ. 1 იანვრამდის 1889 წ. შემდეგი ფოჩტის სტანციები ტფილისის გუბერნიაში: მიხაილოვის, საგანლისხევისა, ბორჯომის, სტრაშნოოკოპის, აწყურის, ბენარის და აბასთუმნისა.

* * *

ახლად შემოღებული ღერბის მარკების გაყიდვა არ დაიწყება, სანამ ძველი მარკები არ გასაღდებაო ერთიანად.

* * *

მოკლეს ხანში შემოვა ახალი წესი რკინის გზით მოგზაურობის ბილეთების გაჩხრეკისა. ყველა ადგილები ვაგონებში დანომრილი იქნება და ბილეთებს კი ექნება კუპონები: ყოველ ვაგონებში იქნება ყუთი, სადაც მოგზაურები ჩააგდებენ თავიანთ ბილეთებს და კუპონებს კი თვით დაიჭერენ, ყოველ შემთხვევისათვის. ამ ნაირად კანტროლიორი გაჩხრეკს მხოლოდ იმ ყუთს და მოგზაურთ კი აღარ შეაწუხებს.

* * *

პრიკაზი აცხადებს, რომ მომავალი წლის იანვრის 21 რიცხვს დანიშნუ-

---

«დროების» ფელეტონი, 1 დეკემბ.

### ...მიდის მოწამის ქეთევან დედოფლისაგან ანბანით ქება

(...ამრძანები ოდეს უსჯულომან შაჰ-აბას ...ველმან შირაზს პყრობილად წარგზავ...ნა; მუნ პყრობაში მწუხარემან სთქვა:)

ამას ვსტირი, ბან ბნელსა მჯდომი,
გულთა მდუღრად ღონ დადაგული.
ესრედ ვება ვინ ვის მოება,
ზედი-ზედა ცეე დართული!
თვალნი ჩემნი ინ ისრევ ირწყვის,
კმარის მისგან ლას ლამებული.
მილად მოდის ნარ ნაკადულად,
ოდეს ნახონ პარ პკურებული.

—

ჟამნი ჩემნი გამოვიწვლილე,
როდისმე სან სული მეყოს?
ტყება ვიწყე უნ უთვალავნი,
ფლობა მიჯობს ესრედ რომ მეყოს.
ქცევა სოფელს, ერთს წამს საყოფელს,
ღან დიმილიცა გარდაიმეყოს;
ყარ ყველას ღმერთი თვით განმიმარტებს,
შინ შიშთა მისთა ხელი მიმეყოს.

—

ჩინ ჩამომება სვე უბედური,
ცან ცრემლის დენა ძილ მნელად შრება;
წილ წყარო თვალთა ჭარ ჭმუნვით მყოფთა
ხან ხარბად დენით გარდმოჩქერება.
პარ კორცნი ლაწვთა ჯან ჯავრმან დაწვნა,
წარხდეს ელვათა შვენიერება.
ჰაჲ ჰაჲ მომშორდა ლხინი და შვება,
ჵჲ ჵჲ წამიხდა სახიერება!

---

ეს ლექსი გამოწერილია დავით რექტორის ნაწერიდამ, რომელიც თეიმურაზ პირველის ლექსს „ქეთევანის წამებას“ უკეთებს ამ შენიშვნას: წამება ქეთევან-დედოფლისა სპარსეთის ხელმწიფის შაჰ-აბას ულმრთოსაგან ქალაქსა შირაზს, თვესა სექტემბერსა ცამეტსა, წელსა 1624 ქრონიკონსა ქართულსა ზედა 312. ესე ქეთევან იყო დედოფალი კახეთისა, მეუღლე კახეთის მეფის დავითისა, ასული აშოთან მუხრან-ბატონის და დედა კახთ მეფის თეიმურაზ პირველისა. ამან, თეიმურაზ, ძმან მისმან წამება და ღვაწლი დედისა თვისისა დალექსა.“

### ქეთევან დედოფლის წამებაზე საბა ორბელიანის თქმული

დედოფალი ვით შეამკეს მათ ულმრთოთა
სჯულის მტერთა:
სნატთა[1]) ნაცვლად დაუფენდეს მიწათა და
ცუდთა მტვერთა;
სამ კუთხს ლურსმანს ქვეშ უგებდენ ვითა
ორხუვა, ვითა ტერთა[2])
ხან სცემდეს და ხან შეჰკვრიდენ, ვითა
ხელსა და ტეტერთა[3])

—

მოჰკაზმიდენ შვენიერად შეუქმოდენ ფისსა
ზილფად,[1])
ცხელს შამფურსა ქინძისთავად, სოლავად[2])
გინდა სკივად[3])
ტანჯვას სარკედ, ცემას მარგედ, ნაცარს
სურმად, გაზსა ჩქიფად,
აგურს საპნად უსვემდიან, განსაწმედლად
კოხსა ლიფად,

—

ცხელსა ქვაბსა თავს გვირგვინად, საყუ-
რებად ნაკვერცხალსა,
ყამჩად ბარსა, საუბეურად მსურვალესა ნალს
ახალსა,
საჯს[4]) ამბარჩად,[5]) ყელსაბამად მწარეს
თოკსა ვითა მსალსა,
ქმრად ჯაჭვსა მოუჭერდენ, ტანთს დას-
მიდენ ვითა ხალსა!

---

[1]) სნატი—რბილი ტყავი; [2]) ტერი—ქვეშ საფენი; [3]) ტეტერი—ტუტუცი;

[1]) ზილფი—კავები. [2]) სოლავი—სურმა; [3]) სკივი—კბილის საწმენდი იარაღი; [4]) საჯი—ტაფა; [5]) ამბარჩა—ყელზე ჩამოსაკიდები სამკაული.

ლითო ალექსანდრე და ივანე ანანოვების მამულის გასყიდვა აჯამეთში, ქუთაისის გუბერნიისა, ბაღდადის უეზ., რადგან ამ მემამულეთ არ შეუტანიათ პრიკაზში ხვედრი ვალის შესავსებელი გადასახადი 32,000 მან.

სასურველია, თუ ეს მამული მართლა გაიყიდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი, გლეხობა დაინარჩუნებდეს მას და ამისათვის თავდარიგს დღეიდგანვე შეუდგებოდნენ.

## „დროების“ კორრესპონდენციები

—

**ხიზაბავრა**, 24 ნოემბერს. ამას წინედ ერთი აქაური მცხოვრები მეფერემ მამუკაშვილი შემომჩიოდა: „გვიშველეთ რამე, ღვთის გულისთვის! ბატონები ჩვენ არ გვინდობენ, მოსამართლენი თავში გვცემენ, მამასახლისი და ნაცვალი სისხლს გვიქცევენ, გარე ხალხი მტრად გვიდგია, სულამდის ხელი ჩამოგვატანეს; ლამის ჩვენი მიწა-წყლიდგან ხელი აგვაღებინონ შეატყობინეთ, მისწერეთ „დროებას“ ჩვენი გაჭირვება, ეგება გამოჩნდეს ვინმე ღვთის მადლიანი, შეგვეწიოს? ცოტაც არის შაღავათი მოგვეცეს, ან არა და გზა კვალი მოგვცენ, რომ ავდგეთ სოფლეურად ერთიან სადმე გარდვიხვეწნოთო! ეს რა ულმერთობაა! თვალს გავახელთ—შიგ ნაცარს გვაყრიან; ხმას-ამოვიღებთ — პირში ბურთს, გვჩრიან, ყურს მივუპყრობთ ჩვენი სასიკეთო საქმის გასაგონად—ბამბას გვიცობენ; ფეხს წავადგამთ სადმე—გვიბორკებენ კანდლითა, ხელს გავძრავთ — გვიკვრენ ბორკილითა; თავს ზე ავიღებთ—მძიმე ღადიანს გვადებენ მქედ კისერზედ და ცოტაც თუ გავაძრიეთ ტანი—ისეთს უშველებელს ტვირთს გვკიდევენ ზურგზედ, რომ 40 ლაფშასაც არ შეუძლია მისი ზიდვა“!.

ამას ასეთს გულსაკლავს საჩივარზედ ვუთხარ:—განა არ იცი, რომ ეს მეცხრამეტე საუკუნოება ქართველ მწერლებისთვის შაბათია? ვერც დასწერენ სწორედ საქმის მიმართულებას და ვერცარა გამოსთქმენ ერის ჭირს, შეწუხებასა? და თუმცა გამოითქვას რამე ადგილის მმართველთაგანი სრულიად არ მიაქცევს იმას არავითარ ყურადღებასა, თუნდ თქმულა და თუნდ არა, თქვენთვის და ჩვენთვის სრულ ერთია მეთქი!..

აქ მოვიდა მეორე გლეხი ბოგალათ ნონოა (ბერი კაცია): „ბატონო ოსმალოს დროს არ მინახია ასრე ჩვენი სოფლის უსინიდისო აკლება: ქალი, რძალი სრულ ერთიან შეამტკვეულეს, გოგო ბიჭი დააწიოკეს, ძუძუ მწოვარ დედებზედ წიხლით შესდგნენ ჩაფრები და ორსულთ რაღა სიკეთე დაეყრებოდათ? განა მთავრობა ნებას აძლევს ამ გვარს ბარბაროსულ საქმეზედა?.. ჩვენი საბატონო ტყე ოზოლეთის წყლის გაღმა ოროდე წელიწადია შევასვენეთ, რადგან სახელმწიფო ტამალის ტყას სამზღვარზედ არის. წელს სახელმწიფო „აბეშჩიკებმა“ გარე სოფლელებს გააჭრინეს და მართლ-მადიდებელთ მღვდელდიაკვნების და მასწავლებლებისათვის საქენები დადგეს, ეს რომ შეიტყეს ჩვენმა ბატონებმა, თავიანთ გამგე აჭარელი მოლა გამოგზავნეს და მისი დარიგებით ჩვენმა პირთეთრმა მამასახლისმა გზირს დაავალა: წადით ის ჩვენს ტყეში დადგმული საქენები მოიტანეთ და ვისაც გინდათ მოსჭერით შეშა კიდეცა და მოიტანეთო!.. მოგეხსენებათ ზამთარს ვუახლოვდებით ბევრთა არც კი გვეცალა, ზოგი საფქვავს ეშურება, ზოგი საქონლის სარჩოს, ზოგი საწუთროსა და ზოგიცა ჩასაცმელ-დასახურავსა. ათში თუ ერთი მოსახლე წავიდა—სულ ოცოდე კაციც არ ყოფილა. მეორე დღეს კი დაგვესიენ კანდუხტორი, სომეხი კვართალი ალექსი ჟვინჩიბაშოვი, სომხისავე ჩაფრებითა და ტყის „აბეშჩიკებითა“; წინ მოუძღვა ჩვენი მამასახლისი და შეახია სახლებში, ვისი ჯავრიც კი სჭირდა! ბ. პრისტავის ნაცვალი ჟვინჩიბაშოვი თურმე კარგი მოკრივე ყოფილა: მუშტზედ გაისვა ხელ... ...ც არა მგონია, მიბეგვა. სტეფან მაზმნიშვილს ისეთი მუშტი უთავაზა, რომ იქავ კბილი ჩამოაგდებინა. ხელი რომ სისხლით შეესვარა, მერმე ყამჩი მოიხმარა, ცემა-ტყეპის ფუტი ცაში ადიოდა. ისეთი წივილ-კივილი და ზრიანცელი დააყენეს სოფელში, რომ გეგონებოდა ლეკნი შემოსევიათო! იმის მიმხედი თვალ სისხლიანი სომხის ჩაფრები და აბეშჩიკები უარესს შვრებოდნენ. კარებს ანტერევდნენ, ძალის ძალად ესეოდნენ შიგნი შიგან, არც ყმაწვილების წიოკება გააჩნდათ, არც ორსულების შიში არი და არცა რა სნეულების მორიდება. იმისთანებს შეესივნენ, რომ იმათ იმ დღეებში ტყის პირი არცკი უნახავსთ. ჩემ დროულ, 75-წლის კაცსა რომ სცემონ უწყალოდ სიმართლის თქმისათვის, რომ ის ტყე საბატონოა, სოფელს რას ემართლებით, წადით მებატონეებს ედავეთ მეთქი? იმათ რა სჯული ექმნებათ და ან რა ღმერთი ეწამებათ!? ამასობაში აჭარელ მოლლაც მოვიდა. პირში ჩაუდგა კვართალსა და კანდუხტორსა, სოფელს რას ემართლებით, რას აქოთავებთ? თვითონ მე ვუბრძანე მამასახლისს, მე მოვატანინე დავა, თუ გინდათ აიგერ სოფლის ბატონები წადით იმათ ეკამათეთ, ამათთან რა გინდათო?.. როგორ თუ შენ ეგ სიტყვა გაბედე ჩვენთანა?—უბრძანეს ჩაფრებს და „ამეშჩიკებს:“ მალე დაიჭირეთო! მაგრამ მოლლამ ისეთი რიხი უჩვენა, რომ ახლოც ვერ მიეკარნენ. ბატონო, ჩვენ რას გვემართლებიან? აქეთ ბატონები გვართმევენ ლალასა და იქით ხაზინა გვახდევინებს ფულსა; განა ღმერთი მოითმენს ამ გვარ უსამართლობასა?!. სანამ ბატონები მოვიდოდნენ თბილ-თბილად... ...ავარდებოდა ბ. ზემოუმერი... ...მაგ ადგილებს „საპიროდ“ დავსწერ, არ გავზომამ, და როცა ბ. ფეზულ-ბეგი დაინახა, მაშინ პირ-იქით მებატონეს მიუმხრო და ჩვენ მიროვოი პოსრედნიკს დაგვაბეზღა. იმანაც გაგვლანძღა და ასე დავრჩით წყალ წაღებული.“

ესე დაასრულა ბებერმა თავისი ამბავი.

საზოგადოდ ჩვენს მაზრაში ბევრი შემაძრწუნებელი ამბები ხდება. ქურდობა ავაზაკობა მეტად გახშირდა. სარაილებს 15-ოდე სკა დანელებიათ, კვალი ხერთვისისკენ უნახიათ. ეჩივლეს რამდენმეჯერ მაგრამ ყურიც არავინ ათხოვა. თუნდაც რომ ქურდიც დაიჭირო, მოწამეს მოგთხოვსთ მოსამართლე. ქურდი კაციც ყოველ ჭირს შეწუხებას გასწევს ყოველ უკანასკნელ სიმდარეს თავზედ აიღებს და მოწმის ხლებას კი ვერ იკისრებს. ერთს ხელოვან ქურდს შესდევს პირზედ მცოდნე პირთ მისი უსინიდისობანი, ქურდი დაუბრუნდა და უთხრა:—თხუთმეტჯერ დავწყვდეულვარ და განვთავისუფლებულვარ ჭრთამითაო. მე კი არა ვარ ქურდი, დასახრჩობი და თვითან მოსამართლები არიან. მერაც მამიპარია, სრულ იმათის ზურგითა და მფარველობითაო!

მას დროს დიდს ალექსანდრე მაკედონელს განთქმული ავაზაკის ერთი მიჰგვარეს და ჰკითხა ალექსანდრემ: „რად შვრებოდი ქურდობასაო“? ავაზაკმან მიუგო: თქვენ რაღად შვრებით ავაზაკობასა და ამდენ თემ ქვეყნებს იკლებთ, აოხრებთ და სცარცვავთ? მე ერთი თავი მაქვს, ხელობა არა მაქვს რა-კი თავი, სარჩენი, გაჭირვებით თავი კალთაში გამომიკრია და ვთულობ. თქვენ კი მამის თქვენის მაკედონიის სამეფოს მაგდენ თავად-აზნაურთ სამხედროს არა სჯერდებით და ხარბო-

## ჩვენი სახალხო სკოლა

„მიწვევნე შენი სკოლა და მე გეტყვი შენ მომავალს“.

ბელინგრი.

ევროპის სახელმწიფოთ დასში ზოგი სახელმწიფო არჩენენ თავიანთ სახალხო სკოლებს უბრალო წერა-კითხვის ამარას; მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში, როგორც ამერიკაში, ბელგიაში თუ სხვაგან ფიზიკა, პოლიტიკური ეკონომია, გეოგრაფია და სხვა უდიდესი საგნები არიან აუცილებელ სასწავლო საგნებად ამავე გვარ სკოლებში...

ბრძნობა იმისი, რომ სახალხო სკოლაში საზოგადო კაცობრიული განათლება საჭიროა, ისეთივე ადვილია, როგორც იმისი, რომ მიწას და მიწაზე მღოღიალე სულდგმულთ გვანათებს და გვათბობს მზე. მაგრამ რას იზამ, ფილოსოფოს ზობზესისა არ იყოს, რომელიც ასე მახვილად ოხუნჯობს: „ჭეშმარიტება, რომ ორჯელ ორი ოთხია, ოღონდ-კი რითიმე კაცთა ინტერესებს შაეხებოდა და დღესაც ჭეშმარიტებად აღვიარებულ არ იქნებოდაო...“

აქაო-და გაუთლელი გლეხი შეუბრალებლივ ამსხვრევს მაშინებს, არ ვარგა მიწის გემოზე მხვნელად, არ შაუძლიან ღაბადის საგნები გემოზე მცხოვრებლებისთვის ღირსია და სხვა და სხვაო,—გაიძახიან ზოგიერთები—ანბანიან სკოლებს ტეხნიკური მიმართულება მივცეთო!..—საზოგადო კაცობრიობითი განათლება მაზნევარია და არა სასარგებლოო, რადგან ხალხს უჩენს ახალ ლტოლვილებებს და აწინდელ ცხოვრებაზე მათში წუწუნბუტბუტს ჰბადამსო—გაიძახიან მეორენი—რუსეთშივე დიდ რიცხვით პატივსაცემი განათლების, წინ-მსვლელობის მოწინაალმდეგე დასი — დაობენ, რომ სახალხო სკოლაში წერა-კითხვაზე ზევით არ წაიყვანონ.

— არა, პირველ-დაწყებით სკოლად ვაქციოთ სახალხო სკოლა, რადგან იქ ბევრ ღარიბს, მაგრამ სისხლით სხვა ფანდის ყმაწვილს შეუძლიან საშუალო სასწავლებლისთვის მოემზადოსო, ყვირის უფრო დაცლილი დასი...

სადღა მოჰკრამ აქ ყურს ძახილს იმ თეორეთიკულად თუ პრაქტიკულად სკოლის საქმეში განვითარებულ პირთა, რომელნიც რუსეთის სახალხო სკოლის ტიპს ეძებენ, ტიპს რომელიც თავისუფლად დაენდობა მშობლის რუსულ ნიადაგზედ და მოისხამს კაცურ ნაყოფს!.. ამით კვალში უდგანან ესენი გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის, რომელმაც პირველად აღვიარა რუსეთში, რომ ნემეცურს თეორიაზე აშენებული სახალხო სკოლა თუ ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას არ ეთანხმა, არ გამოდგებაო...

სადღა აგონდებათ აქ ამ ბატონებს თავიანთ გამოჩენილ ბატ. უშინსკის თქმა: „ავაზაკი და კაცის-მკვლელია ის, ვინც არ იცის სწავლება და ხელს კი ჰქიდებს მას“, ან დასასრული პედაგოგიის ფილოსოფიისა—რომ მასწავლებელი უნდა იყოს ფილოსოფოსიო, უფრო დიდი ბუნებით ამ ხელობისკენ მიდრეკილიო და სულ მცირედი სულით და გულით გატაცებული მაინც ამ საქმითაო და სხვ... როდესაც ხალხს ანბანის მცოდნე მასწავლებლებზე უთითებენ... ალარც მეტად პრაქტიკული სიტყვები უხუცესს მასწავლებელ დისტერვეგისა-ღა აგონდებათ, რომელიც ამბობს: „საზოგადო საქმენი და დაწესებულებანი, როდესაც არ ეთანხმებიან ხალხის გონების ზრდას და არიან გარეშე წრის მოთხოვნილებით შატანილნი, იქმნებიან ყოველთვის ფუძნი და დაბადნი ხალხთა შორის უფრო უკმაყოფილებისა, ყველაში ნდობის დაკარგვისა, ხალხის უწინდელზედ ცუდ მდგომარეობაში ჩაყრისა“ და სხვ.

სომხებს არ უნდათ ამ გვარი განმარტოება, როცა თავიანთ სახალხო სკოლაზე სჯიან... ჩვენ სხვა ვართ. რვა წელია, რაც ალმოსავლეთ საქართველოში დაარსდა სახალხო სკოლა

ბით ამდენ ქვეყნებს იქერ-იკავებ. თქვენ რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავით ჩემზედ უარესი იქნებოდით. მე გაჭირვებამ ქურდად გამომიწვია და თქვენ კი პატიოსნად ცხოვრობთ თქვენის უზომო ანგაარებისაგან, სრულ არ სჯერდებით მაგდენ გამარჯვებებსა. ამ გვარ სიმართლის თქმისთვის ისე მიიჩნია მაკედონელმა ის ავაზაკი, რომ თავის სასახლის გამგეობა იმას მიანდო!

ეს ანდაზა ჩვენს მოსამართლეებს მეტად შეშვენისთ.

ვინმე მესხი.

---

**ფოთი, 26 ნოემბ.** „სოფელი შემხედა უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო“! ნათქვამია და სწორედ ესე ხდება ამ ჩვენს დაწიხლულს ქალაქში. ყველას, ვისაც რა სურს, რაც მოუვა გუნებაში—იმას იზამს აქ, მაგრამ მარტო ცუდ საქმეს და არა კეთილს.

აქ ყველა პროფესიაზე ქურდობა უფრო ამაღლდა, მაგრამ მარტო სამწყსოში კი არა, მწყემსებშიაც. რამდენჯერმე იყო გაზეთებში მოხსენებული ფოთში გოგლეჯაზე და ქურდობაზედ, მაგრამ რა გამოვიდა? არა თუ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება ვისაც რიგი იყო, არამედ მაშინაც ვერ მიაქციეს რიგიანად, როცა ავაზაკებზე ჯიგლაგით ზედ მიადგეს. ამ 24 ნოემბერს გასტეხეს ორი დუქანი საიდგანაც გაიტანეს რამოდენიმე ნივთები მაგრამ, ჩვენდა საიმედოდ თუმცა ბევრი არაფერი გამოგვიდნა, ეს ჩვენი შინაური მტრები მივიგენით ამ 26 რიცხვს. ის ნივთები, რაც რამე დაკარგულა თუთქმის ამ ერთის წლის განმავალობაში, სუყველა ნახეს ერთი აქაურ მცხოვრებელის ლაპარტყავას სახლში. ამ ნაპარავ ნივთებს შორის აღმოჩნდა აუარებელი ნივთები კერძო პირებისა და ეკკლესიისაც. მაგრამ საქმე, აი, რაშია: როცა პოლიციამ მიიბარა ეს ყველა აღმოჩენილი ნივთები და ერთი დღის შემდეგ მეპატრონეებმა თავ-თავის საქონელი მოითხოვეს, მან პოლიციამ, რაღაც მიზეზით ჯერ უარი უთხრა მთხოვნელთ; და ბოლოს, როცა ეს უკანასკნელნი ეღირსნენ და ჩხრეკას მათგანმა ერთმა თავისი ვერა ნახა და რაც ინახა ისიც მცირე ნივთები. წარმოიდგინეთ საეკკლესიო ნივთებიც აღარ აღმოჩნდნენო. მეტადრე დაღონებული იყვნენ ოქროს და ვერცხლის პატრონები.

ახლა ყველას უკვირს, თუ ვინ გააქრო ეს ნახული ნივთები, გამოჩნდა როცა ნახეს, თუ მას აქეთ შეთხლდა? მაშ ის ხმები რაღა იყო—აუარებელი ძვირფასი ნივთეულობა აღმოჩნდაო.

ჩვენის აზრით უგამომეძიებლოდ პოლიციას არ უნდა დაეძრა ის ნივთები და არც პოლიციაში გადაეტანა.

თუ ესე იმოქმედეს ამ ჩვენ ფოთში ქურდობა არამც თუ მოისპობა, ერთი ასად გაძლიერდება. უნდა მოგახსენოთ, რომ ფოთში იმდენი სახლები არ არის, რამდენიც პრისტავებია, მაგრამ რასთვის არიან და ან რას აკეთებენ, ეს კი ველარ გაგვიგია.

მ. ფ—ძე.

---

# რუსეთი

ამ ცოტა ხანში რუსეთის თითქმის ყველა უნივერსიტეტში მოხდა არეულობა სტუდენტებისა. პირველად ამ არეულობამ იჩინა თავი ყაზანის უნივერსიტეტში, სადაც უნივერსიტეტის გამგეობამ გარდაწყვიტა ერთი სტუდენტის გვარად ვარანცოვის დათხოვნა რექტორის მოადგილეს შეურაცხყოფის მიყენებისათვის. 500-600 სტუდენტი გროვით მიადგნენ აქტის ზალას და ითხოვდნენ ვარანცოვის დაბრუნებას უნივერსიტეტში. უნივერსიტეტს გარს შემოერტყა ჯარი და პოლიცია და შიგნ დატუსაღება სტუდენტებისა. ჯერ კიდე ყაზანის უნივერსიტეტში არ ჩამოეცლოთ სრული მშვიდობიანობა, რომ პეტერბურღის უნივერსიტეტის სტუდენტობამ ხმა მისცა ამათ და თანაგრძნობის გამოცხადება მოიწადინა. პოლიციამ დაატუსაღა აქ ასამდი სტუდენტი. ამათგან ზოგნი სულ დაითხოვეს უნივერსიტეტიდან (46): ზოგნი თუმცა დაითხოვეს, მაგრამ მცირე წლოვანების გამო, მისცეს ნება ხელ-ახლად შემოსვლის უნივერსიტეტში, თუ კი ისინი (20) წარმოადგენენ მოწმობას, რომ შემდეგში კარგ ყოფაქცევას დაიჭერენ და შეინანიებენ, რაც დაიშავეს; ზოგნი თავისუფალნი მსმენელნი, რომელთაც აეკრძალათ იარონ უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად (13), დანარჩენთ, რადგანაც ისინი ადრე საიმედო და კარგ ყოფა-ქცევის ყმაწვილებად იყვნენ ნაცნობი, გარდაუწყვიტეს რამდენიმე ხნით დატუსაღება.—ამავე ყაზანის სტუდენტების არეულობას ხმა მისცეს აგრეთვე კიევის სტუდენტობამ, ხარკოვისამ, იაროსლავისამ და სხვ. ყველგან პოლიცია ენერგიულად მოქმედებდა, ბევრი სტუდენტი ამ უკანასკნელ უნივერსიტეტებიდანაც დაითხოვეს. იაროსლავის იურიდიულ ლიცეიდამ დაითხოვეს 11 სტუდენტი.—ამ ჟამად მცირე მშვიდობიანობა ჩამოვარდა თითქმის ყველა უნივერსიტეტებში და ლექციებიც რიგისებრ მიდის, თუმცა ხან-დის-ხან კიდე აცხადებენ ზოგიერთნი უკმაყოფილებას.

---

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისას; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისას; ბასტ[illegible]—[illegible], ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისას; ზაზაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისას; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისას; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისას; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისას; ზაზაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისას; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბასხუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ზაზაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისას; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ზაზაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისას; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისას; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ზაზაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისას; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ზაზაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

---

# განცხადებანი

წელს გიმნაზიაში კურს შესრულებულმა ქალმა, სალომე ნასიძისამ გა-

---

და ჩინოვნიკს ჩაუარდა ხელში. მაგრამ ამ დროს ამ ჩინოვნიკს ბიუროკრატიული სათვალეები არ ჰქონდა... მწვეოდა ხოლმე ის რევიზიაზე მაშინ ბევრ პატიოსან მასწავლებელს მივარდნილ სოფელში და გაკვირვებით ყბები და თვალები ღია რჩებოდა საკვირველი ენერგიით, ვარგისად დაყენებულ საქმეზედ. საკმაოდ კეთილ განზრახვიან ახალგაზდებსაც ჩეეკიდნათ მაშინ სკოლის საქმისთვის ხელი. ბევრს მათგანს ცხადად ედგა თვალ-წინ ჩვენი გლეხობა, რომელსაც არც თავისი უფლებანი ესმის, არც თავის მოვალეობა, იჩი არ გეგება იმ „ზაკონებისა“, რომელიც არც მტერს იცნობს, არც მოყვარეს, გულგრილად უყურებს მოხელეების ამორჩევას, ყველაფერ ტანჯვას, ცემა-ტყეპას იტანს გულ-გრილად და სიდინჯით, რომელსაც კანონიერი წინააღმდეგობა ვერ ამოუჩენია თავის მშთანთქავ-ყლაპიასათვის და რომელსაც არა კეცურად ეყურება ფულის დანიშნულება, სახემწიფოსი და სხვ. აი ეს მასწავლებელნიც ამათში ჰაზრავდნენ სკოლას ფართო ცოდნის მიმცემს... ჰგრძნობდნენ, რომ ამას დიდი, დიდი შრომა და დროც უნდოდა, მაგრამ განა დღესაც და მაშინაც ყველას პირ-და-პირი მოვალეობა არ არის ეს მიზანი დავიახლოვოთ?!. სკოლებიც ხალხში თანაგრძნობას იმსახურებდნენ და მატულობდნენ რიცხვით... ჩინოვნიკი ყურს უგდებდა.

ერთ სხდომაში მოიკრიფნენ პედაგოგნი, ოც-და-ორ ტომ რუსეთის კანონებში იპოვეს ორი ასო და თანხმად იმისა იმ სხდომაში გამოკვეთეს ჩინოვნიკისთვის სათვალე, რომლიდანაც არც ქართველი უნდა გამოჩენილიყო, არც ფაიხოლოგია—საძირკველზე უდიდესი პედაგოგიისთვის...

ამ სათვალეების შამწეობით უნდა დამყარებულიყო ჩვენ სასოფლო სკოლაში „კოზლიკას“ მღერა და ყოველდღე ძახილი „я держу перо-სი“.

ეს განკარგულება მასწავლებლებში ჰბადავდა ღიმილს, რადგან არც პედაგოგიურ და არც ისე ლოგიკურ გზებს არ ეთანხმებოდა. ყველა მათგანი ფიქრობდა სათვალეებით მოვიდეს ჩინოვნიკი თავს ხომ თან მოიტანს და, რა დაემართება, ვერა გავაგებინოთრა სისწორისაო; მაგრამ ბოზვის თქმა ავიწყდებოდათ, რუსეთში პედაგოგიური ჰავის მდგომარეობა...

მოვიდა რევიზიაზედ სათვალეებიანი. „კოზლიკა“ ეკითხება მოწაფეებს. „ინტონაცია“ „ხოროვო ჩტენიე“—გაიძახის ის.

— აი, ჰხედავთ, ბატონო, იმ კუნჭულში მჯდარ ასაკში მოსულ ქალს? ჰკითხავს მასწავლებელი.—დედ-მამამ ეგ მოიყვანა სკოლაში ერთი წლით, რომ მშობლიური წერა-კითხვა და ანგარიში ასწავლოთ და ეს ერთი საცოდავი წელი „კოზლიკაზე“ დავალამოთ, ღმერთია?! აი, ეს მოზარდი გლეხი-ბიჭებიც თითო წლით, გაჭირდეს ორ-ორით გამოვაცალე დედ-მამას და მუშაობას, რომ ანგარიში, მშობლის კითხვა-წერა და ცხოვრებაში გამოსადეგი რამ ვასწავლოთ...

წარმოიდგინეთ, ბატონო! არაბს თუ არაბების მეტი არვინ უნახავს ქვეყანაზე ყველა კაცი შავი ჰგონია—თუ ერთი თეთრი ნახა—პირველ აზრს შეიცვლის. თქვენც ბატონო, ყველგან და კარგა იკითხეთ—მაშინ გაიგებთ...

ჩვენი თქმა ქვეშევრდომისთვის უცვლელია და, ამის შემდეგ, თუ სისრულეში არ მოიყვანთ...

წავიდა ბატონი.

დღით-დღე მოგვდის ქალაქიდან გაკვეთილების სათადარიგო ფურცელი.

გულუბრყვილოდ ვაიძახიან ჩვენ სკოლებში პატარა სოფლის ბიჭები—„კოზლიკას“ თუ სხვა, მათი ყურებიათვის ხამ, სიტყვებს...

სოფლის მასწავლებელი შაქრო.

ხსნა, სამოსწავლო მზრუნველის ნებართვით:

ავლაბარში

საქალებო სკოლა

და

მოსამზადებელი კლასები,

ლაზარევის ქუჩაზედ, ნიკოლაევის სკოლის ზევით, სახლი № 53.

(5—5)

---

ქართული სამეცნიერო ტერმინების შემუშავებისათვის შემდეგი

## კრება

დანიშნულია ხუთშაბათს, 2 ქრისტეშობისთვეს, ქალაქის რჩევის დარბაზში საღამოს შვიდ საათზე.

---

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

შადრევნით წყალი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის წყალი—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—16)

---

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და ამზღვარ გარეთებზედაც.

(20—7)

---

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

ექიმი—ბებია

## ნ. დ. გავრონსკი

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერივნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერივნის მოედანით.

იღებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით დედაცთა და ბავშვების სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—1)

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1883 годъ

на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету

„РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ достовкою въ Москвѣ:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| На 12 мѣс. | 8 р. | 50 к. | | На 6 мѣс. | 4 р. | 50 к. | |
| „ 11 | „ 8 | „ — | „ | „ 5 | „ 3 | „ 90 | „ |
| „ 10 | „ 7 | „ 50 | „ | „ 4 | „ 3 | „ 25 | „ |
| „ 9 | „ 6 | „ 75 | „ | „ 3 | „ 2 | „ 50 | „ |
| „ 8 | „ 6 | „ — | „ | „ 2 | „ 1 | „ 90 | „ |
| „ 7 | „ 5 | „ 25 | „ | „ 1 | „ 1 | „ — | „ |

Съ пересылкою въ города:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| На 12 мѣс. | 9 р. | — к. | | На 6 мѣс. | 5 р. | — к. | |
| „ 11 | „ 8 | „ 50 | „ | „ 5 | „ 4 | „ 60 | „ |
| „ 10 | „ 8 | „ — | „ | „ 4 | „ 3 | „ 70 | „ |
| „ 9 | „ 7 | „ 40 | „ | „ 3 | „ 2 | „ 75 | „ |
| „ 8 | „ 6 | „ 70 | „ | „ 2 | „ 2 | „ — | „ |
| „ 7 | „ 5 | „ 90 | „ | „ 1 | „ 1 | „ 10 | „ |

За границу: на 12 м. 17 р.,
„ 6 „ 9 р.,
„ 3 „ 5 р.,
„ 1 „ 2 р.

Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій мостъ, д. Н. П. Ланина, въ отдѣленіи конторы—близъ Петровки, Столешниковъ пер., д. Карзинкина, въ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы и С.-Петербурга и Парижѣ—Rue Clément, 4, Adam.

Гг. иногородніе благоволятъ адресоваться преимущественно въ контору изданія „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

*Редакторъ-издатель*
(5—4) *Н. П. Ланинъ.*

---

ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

## ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესას ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

სკოლაში და შინ საკითხავად

ადაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

---

ახალი ქართული [illegible]

## კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

ტაქსია

საჭმელ-სასმელებზე, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზედ 15 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |

---

ინგლისის მაღაზიაში

## თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—13)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

## ყორხმაზის ქარვასლისაგან

უცხადებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ყორხმაზის ქარვასლაში, რომელიც დღეს ჩვენს საკუთრებას შეადგენს, გამართულია სხვა ქალაქებიდამ მოსულ ვაჭრებისათვის ცალკე ნომრები და სადგომი ოთახები, რომელსაც ახლა უფრო იაფ ფასად ვაქირავებთ, ვიდრე ადრე იყო. ძველი ფასები იყო: ღამის გასათევი—10 კაპ. ახლა 5 კაპ. გავხადეთ; ცალის შესაკრავი მუშის ქირა ადრე იყო ხუთი შაური, ახლა აბაზია და სხვ.

საჭიროდ ვრაცხთ გავაფრთხილოთ განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის ჩვენი მუშტრები, რომ მოერიდნონ ადრინდელ ჩვენგან დათხოვნილ არენდატორს, რომელიც თითქმის ძალით იტყუილებს მუშტარს თავის ქარვასლაში: მუაღამის პოეზდის მოსვლის დროს მუშებს აყენებს სიონის წინ, პოეზდიდამ მომავალ ფაეტონებს აჩერებენ და ამნაირად ძალა-უნებურად მიჰყავთ მუშტარი სხვა ქარვასლაში. ზოგნი ამათგანი კი მეორე დღეს ისევ ჩვენს ქარვასლაში გადმოდიან.

ჩვენვე ვკისრულობთ კომისიონრების მოადგილობას. ჩვენს ქარვასლაში შეკრულს თითო ცალზე ვიღებთ 20 კაპ. ყოველს ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ, ე. ი. დროგისა, მარკისა, მუშისა და სხვ. თუ რამე ნაკლულევანება აღმოჩნდება, პასუხის-მგებელი ჩვენ ვიქნებით.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ შემდეგში ჩვენ გვსურს გავამშვენიეროთ და შევაკეთოთ ჩვენი ქარვასლა, ისე რომ მუშტარს ყოველი შეღავათი და საშუალება მივცეთ თვის საქმის კარგად და საჩქაროთ წარმოებისათვის.

მმანი იაგორ და ონანა პარუნ სარქისოვები.
(10—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Ноября 1882 г. Типографія Мелікова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი